№ 139

ხუთშაბათი, 2 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

№ 139

ხუთშაბათი, 2 ივლისი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა № 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ხან მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 28 ივნისს, შუაღამეს, გარდაიცვალა

**თამარი სოლომონის ასული ქართველიშვილისა,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მეუღლე გარდაცვალებულისა **გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი** და შვილნი მისნი: **მელანია წილოსანისა, ნინო არჯევანიძისა, ნიკო და გიორგი გიორგის ძენი** ძმითა და დებითურთ.

პანაშვიდი—საღამოობით 8 საათზე, მიცვალებულის სახლში, № 180, მიხაილოვის ქუჩაზე; გამოსვენება დიდ-უბის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 2 ივლისს, დილის 9 საათზე. (2—106—2)

**ნინო სოლომონის ასული მამულაშვილისა და ივანე სოლომონის ძე მჭედლიძე** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას დაუვიწყარის დისა

**თამარ სოლომონის ასულის ქართველიშვილისას**

და სთხოვენ დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას მისივ სახლიდგან (მიხეილის ქ. № 180) დიდუბის ეკკლესიაში დღეს დილით 9 საათზე. (1—110—1).

თავ. ასლან წულუკიძის ასული **ბაბილინა** და ძმის წული მისი უგანათლებულესი კნეინა **ნიდიტორა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 4 ივლისს, შტაბს როტმისტრის თავადის

**ასლან ვახტანგის ძის წულუკიძის**

გარდაცვალებიდგან ორმოცის დღის შესრულებისა გამო გარდახდილ იქმნება მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში ქ. ქუთაისს წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—109—1)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი- (სიდა საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. შრიტახვეიზი.** 12—1 საათ ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შმაკოვსკი** – 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი ასესსორობა: ქ. ტფილისის მესამე სამოსამართლო ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს თავად ჭავჭავაძეს—და ერევნის გუბერნიის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ქავთარაძეს.—ტიტულიარნი სოვეტნიკობა—უფროსს კანდიდატს სამოსამართლო თანამდებობაზედ ბაქოს ოლქის სასამართლოსთან გელოვანს.

—✻—

## ახალი ამბავი

—

⁂ თავადი ივანე გიორგის ძე მაჩაბელი ჯერ კიდევ არსადა სჩანს. უკვე სრული ექვსი დღეა, რაც პოლიცია და ნათესავები დაეძებენ, მაგრამ ამაოდ: მაჩაბლის ავი და კარგი ვერავის გაუგია. გუშინ-წინ ხმა გავრცელდა, რომ თავადი მაჩაბელი მტკვარში იპოვნეს დამრჩვალიო, მაგრამ ეს ამბავი ტყუილი გამოდგა.

⁂ ორშაბათს, 29 ივნისს, საქართველოს ეგზარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე წავიდა მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერში ამ ზაფხულის გასატარებლად.

⁂ 24 ივნისს მათ იმპერატორებით უმაღლესობას ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს წარუდგა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასდო 1,000 მან. ზაქათალის ოლქის იმ მცხოვრებელთა დასაჯილდოვებლად, რომელთა ჭირით ავად გამხდარი პირუტყვიც მოკლულ იქმნება.

⁂ შაბათს, 4 ივლისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში იჯარით გაიცემა ას საქალაქო აფთიაქი, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა და იჯარითა აქვს აღებული ბ-ნს კამოცკის.

⁂ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის საანგარიშო წიგნების განხილვის დროს რევიზიამ აღმოაჩინა, რომ სხვა-და-სხვა გვარ გარდასახადით შემოსულს ფულს 1000 მან. აკლიაო. ქალაქის გამგეობამ 27 ივნისის კრებაზედ დაადგინა: დაევალოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს ყუზანოვს ამ დანაკლისის შევსება და ამას გარდა, როგორც გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, გამგეობამ დაადგინა ყუზანოვი დათხოვნილ იქმნას სამსახურიდგან იმის გამო, რომ სარევიზიო კომისიის წევრს ხმოსანს მელიქოვს საანგარიშო წიგნი არ უჩვენა და უზრდელად მოექცაო.

⁂ ქ. ქუთაისი. სწორედ საკვირველია აქაურ ვაჭრების საქმე. მთავრობამ უბრძანა, რომ კვირაობით დაჰკეტეთ ხოლმე დუქნებიო, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან და კვირაობითაც ვაჭრობენ. სასურველია, ყურადღება მიაქციოს ამ ამბავს იმან, ვისიც მოვალეობაა.

⁂ სოხუმი. უკვე დაპატიმრებულ იქმნენ ისინი, რომელთაც განიზრახეს გუდაუთის ნაწილის უფროსის

---

# ფელეტონი

—

## დათას რვეული

„გზაში“

(დასასრული *)

ქ. ი—ში.

...სამი დღეა ჩემი რვეული ხელში არ ამიღია. ქალაქ ი—ვის გაცნობაში გავერთვი. გუშინიდგან დავიწყე ლექციებზედ სიარული.

ბედნიერი ვარ! საგნის დასაწყისთანა ვარ... ვახორციელებ ჩემს აზრს, რომელიც რამდენიმე წელიწადი მტანჯავდა, რომელმაც ათასი წვალება მაჩვენა. დიაღ, უნივერსიტეტში ვარ! სტუდენტი ვარ! სხვა არა იყოს რა, აღარ მეშინიან, რომ ხვალ მივიღებ ორს, არ დამამწყვდევენ იმისთვის, რომ აბგა ზურგზედ არ წამოვიკიდე! ერთი სიტყვით, ბალღი აღარა ვარ. ყურს ვუგდებ ლექციებს!.. მართალია, ხანდახან მომავლის უნუგეშობა ცხელ რკინასავით დამწვავს ხოლმე გულს, მიშხამავს სიამოვნებას, ფრთებს აშვებინებს ჩემს აღფრთოვანებას, მაგრამ... არა... ყოვლად შეუძლებელია, რომ გაკვეთილები ვერ ვიშოვნო, ან სხვა რამე საქმე. სიკო იჭვიანობს,—ის ამბობს, რომ მე ძალიან იჭვით ვუყურებ სუყველაფერსაო, რომ გაკვეთილები „პრასასავით არ ამოდის მიწიდგანაო“,—მაგრამ მე იმისი არ მჯერა... გავირჯები, ვეცდები, თვალ-ყურს მივადევნებ და რა ღმერთი გაუწყრება, ერთი გაკვეთილი მაინც ვერ ვიშოვნო. აი, თვით სიკომ ხომ გაატარა როგორც იყო შარშანდელი წელიწადი...

დიაღ, მე მომავალზედ არ ვფიქრობ .. სიხარულმა თავისი გაიტანა. ვხედავ, რომ საგანთანა ვარ, ვგრძნობ, გზა გამეხსნა ჩემის წყურვილის მოსაკლავად... სხვა რაღა მინდა?

— „ჰო, ეხლა! მერე? მერე რაღას იზამ?“—ჩამჩურჩულებს ვიღაცა ხანდახან ყურში... მაგრამ... ყოველთვის უძლიერესი გრძნობა ჰფარავს, სჩრდილავს უფრო სუსტსა,—ჩემი უძლიერესი გრძნობა ამ დღეებში სიხარულია, აღფრთოვანება... ჩემი ბედნიერებაც სწორედ ამაშია... დიაღ, მისწრაფება ჭეშმარიტებისა და ცოდნისაკენ, რომელთაც ბოლო არ უჩანთ, შეადგენს კაცის გაუთავებელს ბედნიერებას, სიხარულსა და რაც ამ მისწრაფებით წინ მიხვალ, იმდენი ახალი და ბრწყინვალე იმედები გებადება... სხვა სუყველაფერი მისაღწევია და ამიტომ არც ვარგა ბედნიერებისთვის... თუ საგანს მიაღწიე, ბედნიერებაც გაჰქრა... თვითონ მისწრაფებაშია ბედნიერება!..

—

მე და სიკოს გვიქირავს ერთი პატარა ოთახი მაღლა სხვენში. ოთახი ძაან პატარაა, არ ვარგა საცხოვრებლად, მაგრამ არც ეს მაწუხებს, საგანთანა ვარ! დანარჩენი ჩემთვის სულ ერთია! დღე დღეზედ მიდის და ჩემი ქისაც თან და თან იფუკება...

—

...გავიდა სამი კვირა. ჯიბეში მხოლოდ ხუთი მანეთი მაქვს. პირველს მოწყობაში ბევრი დამეხარჯა... ჩემს ალტაცებას თან და თან ფრთები ეკვეცება... სიკოც ჩუმ-ჩუმად იცინის... ვგრძნობ ამ სიცილს და სისხლი მემღვრევა, გული მიშფოთდება!.. ნუ თუ სუყველაფერი ტყუილია? ნუ თუ ჩემი ცდა, ხვეწნა, ტირილი უნაყოფოდ უნდა გაქარწყლდეს?

— არა და არა!.. უნდა როგორმე ბოლო გავიტანო!

— „როგორ? რით? შიმშილი?“ მომძახის ვიღაცა და სასოწარკვეთით ხელები მიდუნდება...

— მამა-ჩემს... მივსწერავ...

— „ოთხი თუმანი და ცხრა მანეთი ძლივს ვაი ვაგლახით მოგიკოწიწეთ!“ ამის მოგონებაზედ გულში რაღამაც წკმენტა დამიწყო! განა შემეძლო მამიჩემისთვის მეთხოვნა რამე მას შემდეგ, როდესაც დავპირდი აღარ შეგაწუხებთ მეთქი? არა, აღარ შემეძლო, სინიდისი ნებას არ მომცემს... მომაგონდა მამაჩემთან ვალისთვის მოსული ვაჭარი... მომაგონდა მამიჩემის ხვეწნა, დედის ცრემლები... გულზედ ლოდივით რაღაც დამაწვა, თვალებში ცრემლი მომერია.

— ღმერთო, ღმერთო! რა უნდა ვქნა? რა ღონისძიება უნდა ვიხმარო? რით უნდა გამოვიკვებო თავი? სიკომ გაკვეთილები იშოვა... რვა მანეთს იღებს თვეში... მე-კი ვერა, ვერას გზით!..

—

აი ერთი კვირაც გავიდა... ამ ერთს კვირაში ბევრი ტანჯვა გამოვიარე, გულში ათას ნაირი ცეცხლი და ვარამი მიტრიალებდა...

—

— დღეს ცუდს გუნებაზედა ვარ... ლექციებზედ ვერ წაველ... სიმარტოვე ხომ დედაა ათასნაირ ფიქრისა...

აი, კიდევ წარმომიდგა ჩემი წარსული,—გიმნაზიაში სწავლა... მომაგონდა ბერძნული, ლათინური, იმათზედ თავის ტეხა, ბეჯითობა... სულ რისთვის? რისთვის გამოვიარე იმდენი შრომა?

— არა, უნდა მივაღწიო ჩემს სურვილს! წამოვიძახებ მალ-მალე და რაღაც ძალით ხელები მეკვლანჭება, კბილები მიკრაჭუნებს, თითქო ვემუქრებოდე ვისმე...

ბევრი ღამე სრულიად არა მძინავს, ბევრჯელ, თუმც მრცხვენიან, ცრემლებიც დავაფრქვიე, მაგრამ ცრემლი ხომ სუსტი მალამოა ჯიბის ავადმყოფობისთვის...

— ვერა, ვერა, საშუალება ვერა გამოვძებნე რა... ვხედავ, რომ საშველი არსაიდგან არა მაქვს... სასოწარკვეთით, ოხვრითა და გმინვით მთელი ღამეები ვტრიალებ შამფურსავით ჩემს ლოგინში და უიმედოდ ვაბარტყუნებ ხელებს ლოგინზედ... რაც უფრო ცოტავდება ჩემი სარჩო, აჲჯერ და მეტად უფრო მიძლიერდება ტანჯვა... გული მეწვის... თან და თან უფრო ვრწმუნდები, რომ გაჭირვებამ მოთმენა არ იცის,—იგი მკაცრი მო-

*) იხ. „ივერია“ № 138.

ვ. პ. ჩიქოვანის მოკვლა და ამ აზრით თოფი ესროლეს. ესენი არიან ძმანი სულეიმან და ისმაილ ავიდზბევები და ჯგვატან ავიდზბა. უკანასკნელი 23 ივნისს თავისს ფეხით ჩამოვიდა სოხუმს და გამოეცხადა სოხუმის ოლქის უფროსს.

** დ. ოჩემჩირე. ამ დღეებში სოფ. ქილოუს ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ცეცხლი წაუკიდეს თავ. ხაბუგა ანჩაბაძის სახლს. ნაწილის უფროსი ბ-ნი სტაროსელსკი დაეძებს ბოროტ-მოქმედთ.

## ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი.

(სამღვდ. დეპუტატთა მორიგი კრება. 15—18 ივნისი)

გურიის სამღვდელოების სანიადაგო ზრუნვის საგანი სასულიერო სასწავლებელია, რომლის შესანახ ხარჯის გასაწერად ყოველ წელიწადს იკრიბებიან სამღვდელოთა დეპუტატები. ბჭობენ, თათბირობენ, ვარაუდობენ ხარჯის რაოდენობის შესახებ და ყოველთვის მცირე-ოდენის უმნიშვნელო შეცვლით ამტკიცებენ სასწავლებლის მმართველობის მიერ აღნუსხულ ხარჯთ აღრიცხვას. ამ ხარჯთ-აღრიცხვის ძალით შუათანა შეძლების კრებულს ეკკლესიისას ყოველწლიურ გარდასახადად ედება 50 მ. და ხშირად მეტიც. ვგონებ, დამეთანხმება მკითხველი, რომ ამოდენა გარდასახადი აწინდელ გაჭირვებულსა და კრიზისიან დროში სამძიმო და საგრძნობელია; მაგრამ რას იზამთ, რომ სწავლაც, შვილების აღზრდაც აუცილებელ მოთხოვნილებად გარდააქცია დროთა ვითარებამ. ეს გურიის სამღვდელოებას კარგად აქვს შეგნებული, და ამიტომაც არის, რომ აგრე უდრტვინველად ეწევა სასწავლებლის შესანახ ხარჯს და არავითარს ძალ ღონეს და საშუალებას არ იშურებს სასწავლებლის კეთილ-დღეობისათვის.

გარნა წელს დეპუტატთა კრების სხდომაზე გაისმა დრტვინვა და საყვედური, ხოლო არა უდიერ ხარჯის გაწერის გამო, არამედ იმის შესახებ, რომ ოზურგეთის სასწავლებლიდამ ერთობ მცირე რიცხვი მოწაფეებისა იგზავნება სემინარიაში და კიდევ უფრო მცირე რიცხვი გახდება ღირსი სემინარიაში შესვლისა.

დაბალი სასულიერო სასწავლებელი, რა თქმა უნდა, იმიტომაა დაბალი, რომ მოწაფეებს მისცეს სათანადო მომზადება უმაღლესს ასეთსავე (სასულიერო) სასწავლებელში შესვლისა, თორემ უამისოდ, თავისთავად დაბალი სასულიერო სასწავლებელი ვერაფერი განძია და იქიდამ გამოტანილი ცოდნის ავლა-დიდება ამ დროში, აწინდელ ყოფა ცხოვრების პირობებში სულ უმნიშვნელო საგზალია. თუ ასეთს მსჯელობას დავადგებით ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ღირსება-წარმატების დაფასებაში, მაშინ დეპუტატთა დრტვინვა საფუძვლიან წყაროთაგან წარმომდინარი იქნება და ეს დრტვინვა, უეჭველია, მთავრობის ჯეროვან ყურადღებასაც დაიმსახურებს.

წელს, მაგალითად, სამად-სამი მოსწავლე წარუდგენია ჩვენს სასწავლებელს სემინარიაში მისაღებად (ღირსეულად გარდიხდიან ეგზამენს და მიღებულნი იქმნებიან თუ არა, ეს კიდევ სათუო და საეჭვოა). ამ სამს მოსწავლეში ორი შარშანდელია, ხოლო ორს უკანასკნელთა შორის ერთი შარშანაც პირველ მოსწავლეთაგანი ყოფილა, მეორე-კი საშუალოთაგანი. მაშასადამე, სემინარიისთვის მოუმზადებიათ ერთ ნახევარი მოსწავლე (საშუალ-ცოდნის მოწაფეს სრული მომზადება ხომ არ მოუნდებოდა!). ამ ამბავს ჩვენგან არავითარი საფანელი და განმარტება აღარ ესაჭიროება; თავისთავადაც ყოველთა გასაგონად ღაღადებს, თუ რა სასურველ და სანატრელ მდგომარეობაშია სწავლების საქმე ამ სასწავლებელში, რომლის შენახვა წელიწადში თითქმის 12 ათას მანეთად ჯდება.

—

დეპუტატთა მეორე სადრტვინავი საგანი გახლდათ წმინდა სანთლის საქმე იმდენად, რამდენადაც ეს საქმე გურიის სამღვდელოებას და მისს ინტერესებს შეეხება, ან შეეხებოდა.

კარგა ხანია, რაც ფოთში არსებობს სანთლის საეპარქიო ქარხანა, საიდამაც გურიის ეკკლესიები ეზიდება წმინდა სანთელს და თითოეულ ფუთში 40 მ. ნაღდ ფულს აძლევს. მაგრამ, წარმოიდგინეთ გულუხვობა ქარხნისა, რომ მოსაგებიდამ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელს ჯერ ერთი გროშიც არ უნახავს; მაშინ როდესაც იგივე ქარხანა ნივთიერად უფრო უზრუნველ ყოფილს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს ათასობით აძლევს. არა ერთხელ აღძრულა შუამდგომლობა, ვის წინაშეც ჯერ იყო, რომ სანთლის მოსაგებიდგან ოზურგეთის სასწავლებელსაც ცოტა რამ რგებოდა, მაგრამ არც ერთხელ ასეთ შუამდგომლობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

წელს დეპუტატთა კრებამ დაადგინა შუამდგომლობა გასწიოს ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს წინაშე, რომ გურიის სამღვდელოებას, როგორც საკუთარის სასწავლებლის მქონებელს სანთლის ყიდვა-გაყიდვის საქმეში სრული თავისუფლება მიენიჭოს. თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, გურიის სამღვდელოებას დიდად აღუმსუბუქდება მძიმე ტვირთი სასწავლებლის ხარჯისა, რადგანაც წმინდა სანთლით ვაჭრობა ისეთი საქმეა, რომელიც უეჭველ მოგებას იძლევა.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

—

ამ ჟამად სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის ყოველ ეპარქიაში დაარსებულ იქმნას სამრევლო სასწავლებლების მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.

— ქ. ვარშავაში პოლიტეხნიკუმი დაარსდება ამ წლის პირველ სექტემბერს და პირველ კურსის სამექანიკო განყოფილებაში მიღებულ იქმნება 100 მოსწავლე, საქიმიოში—60 და საინჟენეროში—90 კაცი.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ ეპარქიაში შემოღებულ იქმნას განსაკუთრებული ეკზამენი იმათ გამოსაცდელად, რომელნიც მღვდლობას თხოულობენ და სასულიერო სემინარიაში სწავლა კი არ დაუმთავრებიათო.

— რადგან მუდამ წელს მატულობს რიცხვი იმ სტუდენტთა, რომელნიც სთხოვენ უნივერსიტეტის მთავრობას, რომ სწავლის ფულიდგან გაგვანთავისუფლეთ და ან ფულით დახმარება აღმოგვიჩინეთო, ამიტომ საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ყველა გიმნაზიის უფროსს, რომ მოსწავლეთა ზნე-ხასიათის შემამოწმებელ საბუთის ქაღალდთან ერთად უნივერსიტეტის მთავრობას წარუდგინეთ ხოლმე ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხელობით ცხოვრობენ მოსწავლეთა მშობლები, ვისის ხარჯით იზრდებოდა მოსწავლე გიმნაზიაში, სწავლის დამთავრებასთანავე ხომ არავინ აღუთქვა დახმარება, შეუძლიან თუ არა მოსწავლეს თავი ირჩინოს უნივერსიტეტში მშობლებისა, ნათესავებისა და ან რომელისამე ქველმოქმედის ხარჯით და მოსწავლეთაგან რომელი უფრო ღარიბიაო.

— განზრახვა აქვთ მომავალ წელს მთელის რუსეთის შინაურ პირუტყვთა გამოფენა გამართონ ქ. პეტერბურგში.

— მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში წელს პირველად დაამთავრა სწავლა 44 კაცმა. ამათგან სასოფლო სამეურნეო განყოფილებაზედ—39 სტუდენტმა, [illegible]ნერო განყოფილებაზედ—4 და ერთმაც ორივე განყოფილებაზედ.

— სამხედრო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას, სასოფლო-სამეურნეო კურსები საერთოდ ჯარისკაცთათვის და კერძოდ იმათთვის, რომელთაც მცირე დრო რჩებათ ხოლმე სამხედრო ბეგარის გარდასახდელადაო.

— განზრახვა აქვთ შეიმუშავონ განსაკუთრებული ნორმალური წესდება იმათ სახელმძღვანელოდ, რომელთაც ჰსურთ წიგნთ-საცავ-სამკითხველო დააარსონ და სახალხო კითხვები ჰმართონ ხოლმე.

## უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** სერვერის ესკადრის განადგურების შესახებ გაზეთი „Evening Telegram“-ი შემდეგს იუწყება: „სანტ-იაგოს ნავთ-სადგურიდგან გამოსვლის დროს ესკადრას წინ მიუძღოდა ის გემი, რომელზედაც თვით ადმირალი სერვერი იყო. ამ გემს შორი-ახლო მისდევდა ორი სხვა გემი— „Biscaua“ და „Oquendo“, ხოლო სულ უკან ნაღმიანი გემები იყვნენ. ამერიკის ესკადრამ, რომელიც ნავთ-სადგურის გამოსასვლელთან გამწკრივებულიყო, ერთი ტყვიაც არ გაისროლა იმ დრომდე, ვიდრე სერვერის ხომალდები გამოსასვლელს სრულიად არ გამოსცილდნენ. აქ-კი სამპსონის ბრძანებით, ყველა გემიდგან ერთბაშად დაუშინეს ყუმბარები ესპანელებს. სერვერის საადმირალო გემმა ზარბაზნითვე გასცა პასუხი, მაგრამ იმისი ტყვია ამერიკის გემებს ვერც-კი სწვდებოდა. ბოლოს სერვერის გემი ვეღარ გაუმაგრდა მტრის ტყვიას და მორის სიმაგრის მახლობლად იძულებული გახდა ნაპირს მისდგომოდა. იმისი ადგილი ორმა შემდეგმა გემმა დაიჭირა, მაგრამ მათაც

---

ვალ ეა.

—

— მეცინება, მაგრამ ვაი ამ სიცილს!.. ათიშაური-ღა დამრჩა... ეს ღამე უფრო ცუდად გავატარე... სასოწარკვეთილებამ თავისი გაიტანა, — მთლად დაიმონავა ჩემი არსება... შუბლზედ ცივს ოფლს მასხავს, თვალებში ცრემლი მომდის... საკვირველია ჩემი მდგომარეობა! ვინა სთქვა, რომ სიღარიბეში პოეზიააო... ჰო, არიან პოეტები, რომელნიც სიღარიბეში ჰხედავენ ბედნიერებას... მაგრამ, ჰმ!.. თანახმა ვარ, რომ სიღარიბე აღძრავს კაცის გულში სიბრალულს, თანაგრძნობას და მეტის მეტი სიღარიბე გულსაც უშფოთებს კაცს, მაგრამ რომ სიღარიბეში პოეზია იყოს, მაგისი-კი რა მოგახსენოთ... არსად, არც ერთს ადგილას, სადაც კი სიღარიბეა, არც ერთს ქოხში არ შემხვედრია ის „პოეტური“ სიღარიბე, რომელსაც ასე გულ-მოდგინეთ აქებენ მგოსნები... ყველგან ხელ-მოკლეობაა და სულის აღმშფოთებელი ჭუჭყი... პოეზია ამაღლებს კაცს, სიღარიბე-კი ერთი მიზეზთაგანია ათასგვარ დანაშაულობისა... მომაგონდა რასკოლნიკოვი, იმისი გაჭირვება, მისი ქცევა... განა ის კაცის მკვლელი უნდა გამხდარიყო? სიღარიბე, ხელ-მოკლეობა, — აი მიზეზი! აგერ რასკოლნიკოვი კიბეზედ მიიპარება... აგერ კედელს ამოეფარა... საშინელი ღამე გავატარე... ეხლაც ცოცხლად მიდგა თვალ-წინ! აი, შეხვდა ურიას!.. აგერ მოკლა კიდეც...

— არა, ის სულელი მოპარულს ქვის ქვეშ რაღად ჰმალავდა?..

— „შენ რომ ყოფილიყავი?“ წამომძახა ვიღამაც... ყურმა საშინლად დამიწყო წივილი...

— მე... მე... მოვიხმარებდი, წავილუღლუღე, მე...

ამ გარემოების მოგონებამ წარმომიდგინა თვალ წინ ურია, რომელსაც ჩვენს პირდაპირ „გამსესხებელი კასსა“ ჰქონდა...

ვთქვათ ეხლა მე რასკოლნიკოვი ვარ... აი. ნელ-ნელა მივიპარები კიბეზედ .. იღლიის ქვეშ ცული მიჭირავს... შევაღე კარები, არავინ არის. . მაგრამ, აგერ თითონ ურია, თავი გამოჰყო კარებიდგან, წვერი გააცანცარა, ხელებში დამიწყო ყურება...

— „რა გნებავთ?“ შემომეკითხა ეშმაკურად და მომიახლოვდა...

— მე... მე... არაფერი... ისე... ხელები მიკანკალებს... ამ კანკალში ცული იღლიიდგან მივარდება... ვიტაცებ ცულს და მაინც ქვასავით გაშეშებული ვდგევარ...

— „არიქა, მიშველეთ“... დაიღრიალა ურიამ და გაქცევა დააპირა...

— ეჰ, ეხლა ხომ სულ ერთია, — გავიფიქრე და ცული მოვიქნიე...

— „ეხ“! მკაფიოდ შემომესმა ხმა...

თვალებ-დახუჭული წამოვხტი ლოგინიდგან და შეშლილსავით დავიწყე აქეთ-იქით ყურება...

— როგორ? განა მართლა მოვკალი კაცი? ჯერ კიდევ აზრს ვერ მოვსულიყავი, რა გარემოებაში ვიყავი, რა ხდებოდა ჩემს გარშემო...

— მაშ რა იყო, ასე მკაფიოდ წარმოთქმული „ეხ!“ არა ეს შეუძლებელია!

— „მოჰკალ, მოჰკალ, მაშ!“ წამომძახა უკანიდგან ვიღამაც... იქით მივიხედე და თვალ წინ წარმომიდგა პოლიციელი დაღვრემილის სახით... გული შემიშფოთდა...

— არა, არა, მე არ მომიკლავს!.. გესმის?! დავიყვირე მე...

— „ეხ, რა ყოფა გაქვს? რა გაღრიალებს? რა ამბავია? გაკვირვებით დამიწყო კითხვა სიკომ, რომელსაც ჩემს აღშფოთებასა და ყვირილზედ გამოჰღვიძებოდა...

გამოვერკვიე... ერთის მხრივ გამეხარდა, რომ სულ ტყუილი ვამოდგა, რამაც ახლა მე აღმაშფოთა, და მეორეს მხრივ შემრცხვა, რომ ოცნებას მივეცი სრული თავისუფლება, გავაბატონე და გონება დავუმორჩილე... შემრცხვა და ვერაფერი ვერ მოვახერხე სათქმელად...

— „არ გესმის? რა ამბავია? რა მოგივიდა?“ შემომეკითხა კვლავ სიკო.

— არა... არაფერი. არ ვიცი, მეც არ მახსოვს, წავიჩურჩულე...

— „დაწე, დაწე, დაიძინე, ბევრს ნუ ჰფიქრობ, სთქვა და ისევ თავი ბალიშზედ მიდო...

— „დაწე, დაიძინე!“ ეხლა დავიძინე. განა ხვალაც დამაძინებს მუცელი?..

—

დღეს თავი, თითქო ტყვია ჩაუსხავთო, ისე მაქვს დამძიმებული. ტანში მაჟრჟოლებს.. თითქო მაციებს კიდეც... ამ სტრიქონებს ვწერ და თან ხელი მიკანკალებს... წერა მინდა... წმიდა ქაღალდია მხოლოდ ჩემი მეგობარი... ყოველ-დღე ვუზიარებ იმას ჩემს ტანჯვა-წვალებას... თითქო ვარამიც მისუმბუქდება წერის დროს...

— მოდი ისევ ჩემთან, ჩემო კალამო! მაშ ვის მივმართო? ვის ვაუწყო ჩემი ვარამი? ისევ შენ, თორემ სხვას ხომ დარდი არა აქვს ჩემის ყოფა-ცხოვრებისა .. შენ უსიტყვოდ მაინც გარდასცემ თეთრს ქაღალდს ჩემს წამებას... შენ მაინც დაცინვით არ მოჰკუმავ ტუჩებს, როგორც სიკო!.. მოდი, მოდი ჩემთან, ჩემო კალამო! სანამ ცოცხალი ვარ, ნუ დავანებებთ თავს ერთმანეთს... თუ მელანი შემომაკლდა, ჩემს ცრემლს დავუმატებ, იქნება მით უფრო შემისუმბუქდეს ტანჯულ-წამებული ბედი... დარწმუნებული იყავ, მე გაგიზიარებ შენ ყოველს წუთს ჩემის ცხოვრებისას... ნუ კი სწრიპინებ... განა შენც მემდური?.. შენც უკმაყოფილო ხარ ჩემი? ნუ, ნუ მიღალატებ! ჰხედავ, ხელი მიკანკალებს, თავი გაბრუებული მაქვს, მთელი ტანი მიცახცახებს, მაგრამ მაინც გიდებ ხელში და არა გღალატობ!..

ნურც შენ მიღალატებ... ერთგულისთვის ერთგული იყავ!..

—

დედისაგან წერილი მივიღე... ხუთი მანეთიც მომივიდა. მისწრება არის სწორედ ჩემთვის ეს ხუთი მანეთი. დედა ჩემი მატყობინებს, — მამა უქეიფოდ არისო... რა გრძნობით არის დაწერილი წერილი! წარმოდგენილი მაქვს და მრწამს, რომ მის წერაში იღვრებოდა წმინდა დედობრივი სიყვარულის ცრემლი... თითონ წერილსაც რამდენსამე ადგას ეტყობა ნაცრემლი... დედა

ძალიან გაუჭირდათ და უკან დაიხიეს. ამ რიგად ვერც ერთი გემი ვერ გაუმაგრდა ამერიკელებს და გაშლილ ზღვაში ვერ გავიდა. ნაპირთან მიმწყვდეულ ესპანელებს გზა აღარსაით ჰქონდათ, ამერიკელებმა-კი ზარბაზნის სროლას უფრო მოუხშირეს და ბოლოს სრულიად გაანადგურეს მთელი ესკადრა". გაზეთი უმატებს, რომ ესპანელები მეტად მამაცად და ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ამერიკელებს მაინც ვერაფერი დააკლეს. ამერიკელებისას დაშავდა მხოლოდ ერთი გემი, რომელიც ნაპირთან ესპანელებმა ააფეთქეს. ამავე ბრძოლის შესახებ ლონდონიდგან მოსული დეპეშა იუწყება: „სერვერის ესკადრის არც ერთი გემი არ დაემორჩილა ამერიკელებს. ყველამ სიკვდილი და ამოწყვეტა არჩია თეთრის ბაირაღის აღმართვას და ამით შეწყალების თხოვნას. ამერიკელებმა ხელთ-ჩაიგდეს მხოლოდ საადმირალო გემი, რომელზედაც სერვერის გარდა 300 კაცი იყო, ისიც მაშინ, როდესაც ეს გემი სრულიად დაინგრა და ჩაძირვას აპირებდა. როდესაც ადმირალი სერვერა ამერიკის გემზედ გადასვლეს, ამ გემის კაპიტანმა ვაინრაიტმა მეგობრულად ხელი ჩამოართვა და იმის მამაცობა და თავგამოდება შეაქო. სერვერიმ ხმა არ ამოიღო, ნაპირისკენ გაიხედა, სადაც გემების ნამტვრევები და დახოცილთა გვამები ტივტივებდნენ და ტირილი დაიწყო". როდესაც ამერიკელებმა ბოლო მოუღეს, სერვერის ესკადრას, გაზეთების სიტყვით, სამპსონმა უბრძანა გემებს სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში შესვლა. გზა და გზა გემებმა ყუმბარები დაუშინეს აქეთ-აქეთ ნაპირებზედ აგებულ სიმაგრეებს, რომელნიც სრულიად მიანგრ-მოანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

— სწორედ იმ დროს, რა დროსაც სამპსონი სერვერის ესკადრას ანადგურებდა, სამპსონის მიერ გაგზავნილმა სამმა სამხედრო გემმა მანზანილოს ნავთ სადგურში იქ მყოფი ესპანიის სამხედრო ხომალდები დაამარცხა და განდევნა. ყველაზედ საკვირველი ის არის, რომ ამ ნავთ-სადგურში ცხრა სამხედრო გემი ყოფილა, სამპსონის-კი მხოლოდ ოთხი მცირე ხომალდი ჰქონებია და ამიტომ სამის გემის მეტი არ გაუგზავნია. როდესაც ამერიკელები მისულან ნავთ-სადგურში, ესპანიის გემები და ნაპირის სიმაგრეებში მყოფი ჯარი უკვე მომზადებული ყოფილა საომრად. გარდა ამისა, ესპანელებს ზღვის ნაპირზედ 2,000 ჯარის კაცი გაემწკრივებინათ. მაგრამ ამის მიუხედავად, ამერიკის სამმა გემმა მაინც თავზარი დასცა ესპანელებს, ჩასძირა ერთი იმათი გემი, დააზიანა რამდენიმე ნაღმოსანი გემი და სრულიად გაანადგურა ნაპირის ერთი სიმაგრე. ბრძოლამ ორი საათი გასტანა. ამერიკელებს მხოლოდ ერთი გემი დაუზიანდათ. უკან დაბრუნების დროს ამერიკელებმა ნიკეროს ნავთსადგურში ესპანიის ერთი გემი კიდევ ჩასძირეს.

— გაზ. „Berliner Tageblatt" ი სწერს: „დღეს არა ხვალ დეპეშა ამბავს მოიტანს, რომ ამერიკელებმა სანტ-იაგოში მყოფი ესპანიის უკანასკნელი ჯარი დაამარცხეს და ქალაქი აიღესო. ვაშინგტონში კიდეც გავრცელდა ხმა, რომ ესპანელებმა სანტ-იაგო ამერიკელებს გარდასცესო, მაგრამ ამერიკის მთავრობას ამის შესახებ ოფიციალურად ჯერ არაფერი გამოუცხადებია. ხოლო რაც შეეხება ესპანიის მთავრობას, ის მართალს არასოდეს არ ამბობს და თუ მართლა ამერიკელებმა სანტ-იაგო აიღეს, ამ ამბავს თავისს ხალხს მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ აუწყებს".

— გასაკვირველი არ არის ის ამბავი, რომ ამერიკელები ესპანელებს ამარცხებენ და იმათ ფლოტსა და სიმაგრეებს მიწასთან ასწორებენ. ესპანიის მთავრობა ისე ცუდად იქცევა, ისე ბედოვლათად მიჰყავს საქმე, რომ ჯარმა რაც უნდა მამაცად იბრძოლოს, საქმეს მაინც ვერაფერს უშველის. მთავრობა სტანჯავს და აწვალებს არამც თუ ახალშენების მცხოვრებთ, არამედ სამშობლოს ერთგულთ და იმის კეთილდღეობისათვის მებრძოლთაც-კი. შემდეგი ამბავი, რომელსაც ერთი გაზეთი იუწყება, აშკარად ასაბუთებს ამას. „ამ ბოლოს დროს მადრიდის ერთს ქუჩაში ყოველ-დღე დაიარება მოხუცებული მეომარი, რომელსაც გულზედ ქაღალდი აქვს მიკრული შემდეგის ზედ წარწერით: კამენდატად ნამყოფმა, ათის წლის კუბაში სამსახურის შემდეგ თანამდებობას თავი გავანებე, რადგანაც მთავრობამ ათის თვის განმავლობაში ჯამაგირი არ მომცა. მე ოთხი შვილი მყავს, ერთი მათგანი საკვდილის პირზედ არის მიმდგარი და არამც თუ წამალი ვერ მიყიდნია, იმდენიც-კი ვერ მიშოვნია, რომ შვილები გამოვკვებო და შიმშილით სიკვდილს გადავარჩინო. კაპიტანი ხუან პერდიელ ესკადიერა". რასაკვირველია, ყველას შეებრალა მათხოვარი კაპიტანი და ყველამ თითო-ოროლა გროში მიაწოდა, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ეს ამბავი, აშკარად გვიხატავს რა წეს-წყობილებაა ესპანიაში და რა გზას ადგია ამ სახელმწიფოს მთავრობა. ეს გულის-ამღვრევი მაგალითი ნათლად ახასიათებს ესპანიას".

— ესპანიის ხალხი ძალიან უკმაყოფილოა მთავრობის უთაურობით და უმოქმედობით. გაზეთების სიტყვით ეს უკმაყოფილება დღეებით-კი არა, საათობით იზრდება, განსაკუთრებით ხალხს ბრაზი მოსდის იმის გამო, რომ მთავრობა კუბიდგან მოსულ ნამდვილ ამბებს ჰმალავს და ტყუილებს ავრცელებს. უიმისოდაც აღელვებულ ხალხს ერთიორად და სამად აღელვებენ კარლისტები. ამ ჟამად კარლისტები ყოველ ქალაქსა და სოფელში დაწრწიან და ათას რამეს ავრცელებენ ხალხში. მთავრობა ყოველ ღონესა ღონობს, რომ ამბოხება არ მოხდეს. ბევრგან ჯარი ჩააყენა, მაგრამ ძნელად თუ გააწყობს რასმეს აბობოქრებულ და გულ-მოსულ ხალხთან. თვით პარლამენტსა და მინისტრებს შორისაც არ არის ერთობა. ერთი მინისტრი გაიძახის, რომ ზავი უნდა მოვსთხოვოთ ამერიკასაო, მეორე სულ წინააღმდეგს — უკანასკნელ სისხლის წვეთამდის უნდა ვიბრძოლოთო. დეპუტატები ყოველ მარჯვე შემთხვევის დროს ჰკიცხავენ და ცუდად იხსენიებენ საგასტას სამინისტროს და იმის პოლიტიკას. ამ დღეებში ერთს ნადიმზედ რომერო რობლენმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ესპანიის ყოველივე უბედურება აწინდელის სამინისტროს ბრალიაო. ამ სამინისტრომ თითონ არ იცის, რას აკეთებს, რა სწადიან და რა მიზნისაკენ მიისწრაფვის. მას არც მოქმედების გეგმა აქვს შემუშავებული და არც ყურადღებას აქცევს სამშობლოს გაჭირვებას. როდესაც სამინისტრომ საქმე გააფუჭა, გენერლებსა და ადმირალებს შეუთვალა: აბა, თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, როგორ ღირსეულ პასუხსაც გასცემთ მტერსაო. გენერლებმა და ადმირალებმა-კი რა ჰქნან, როდესაც არც საკმაო ჯარი ჰყავთ, არც სურსათი აქვთ და არც გემები უვარგათო.

—

**გერმანია.** ამას წინად გწერდით, რომ გერმანიის ფოსტათა და ტელეგრაფთა მინისტრმა პოდბელსკიმ სასტიკად აუკრძალა თავისს ხელ-ქვეით მოხელეებს სოციალისტთა მოძღვრებას ნუ იწამებთო და დაემუქრა, ასეთებს სამსახურიდგან დავითხოვო. ახლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, პოდბელსკის მაგალითს სხვა უფროსებმაც მიჰბაძეს. ეს უფროსები ძალიან გაკვირდნენ თურმე, როდესაც გაიგეს, რომ გერმანიის წვრილ მოხელეების უმრავლესობა სოციალისტთა მოძღვრების მიმდევარნი ყოფილან. ამიტომ ყველა მათ პოდბელსკისებური განკარგულება მოახდინეს და უბრძანეს მოხელეებს — სოციალისტთა მოძღვრებას თავი გაანებეთ, თორემ სამსახურიდგან დაგითხოვთო. იმ ქარხნებში, სადაც სამხედრო იარაღს ამზადებენ, მთავრობამ კიდეც დაითხოვა მრავალი მუშა-სოციალისტი.

—

**ინგლისი.** ინგლისის მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი, რომლის ძალითაც ქარხნის ანუ ფაბრიკის პატრონი კალდებულია დააჯილდოვოს ის მუშა, რომელიც რაიმე მიზეზის გამო დაშავებული იქმნება. ეს კანონი 18 ივნისიდგან შევიდა ძალაში. ახალ კანონში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი უბედურების ის შემთხვევა, როდესაც მუშას ჯილდო ეძლევა. კანონის ძალით, თუ უთანხმოება მოხდა მუშებსა და ქარხნის პატრონებს შორის, საქმე უნდა გაარჩიოს კომისიამ, რომელიც ქარხნის პატრონის რწმუნებულებისა და მუშებისაგან შესდგება.

## ნარევი

მამა და შვილი.

— ბური ბევრი ჭამე, შვილო, და ლოყები დაგებრაწება.

— მართლა, მამა? მაშ გეტყობა შენ პური არ გიჭამია, მხოლოდ გისუნია.

— რადა გგონია აგრე.

— იმიტომ რომ ლოყები უფერული გაქვს და ცხვირი-კი წითელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ვინ იცის, რამდენი ახალი საშუალება არ გამოიგონა ამ უკანასკნელ დროს ადამიანმა თვისს მოძმეთა დასახოცად. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ ომში მამაცი ჯარიკი არ გაიმარჯვებს, არამედ ის მეცნიერი, რომელიც უკეთესს საშუალებას გამოიგონებს მტრის ამოსაჟლეტად. ერთმა მეცნიერმა ი. ბლიოხმა ექვს ტომად დასწერა წიგნი „მომავალი ომი მეხანიკისა, ეკონომიისა და პოლიტიკურის მხრივ". ამ წიგნის დამწერი ამბობს, რომ ადამიანის ფანტაზია ვერ წარმოიდგენს იმ უბედურებას, რომელსაც მომავალში ომი გამოიწვევსო. დადგება ისეთი დრო, სწერს ბლიოხი, როცა არც ერთს სახელმწიფოს არ შეეძლება დიდის ჯარის შენახვა. ეს წიგნი მეტად საყურადღებოა. პირველს ტომში ავტორი მოგვითხრობს ომიანობის მთელს ისტორიას. აქვს აწერილი: თოფის სროლა, უკვამლო თოფის წამალი და სხვა ამგვარი ახალი გამოგონება, მტრის ჯარის გამანადგურებელი; თოფები, ყუმბარები და ზარბაზნები; ყველა ის, რაც ომშია გამოსაყენებელი: ტელეგრაფი, ტელეფონი, ველოსიპედი, მტრედები, ფოტოგრაფია, ჰაეროსტატები, მტრის ბანაკის დასათვალიერებლად, ელექტრონის ძალა და სხვა. ყოველივე ეს ძლიერ ვრცლადა აქვს აწერილი.

---

მთხოვდა, მემუდარებოდა შინ დავბრუნებულიყავ, მივშველებოდი ოჯახს, რომელიც, დედის სიტყვით, უჩემოდ იღუპებოდა... ის... ისიც მთხოვდა, მოდი, ჩქარა, რასაც აიღებ, ისიც ჩემთვის ტკბილი ლუკმა იქნებაო...

თავსზრუ დამესხა!.. მათი თხოვნა, მუდარა მიტაკებს, ფრთებს მაჭრის... თითქოს ჩემს თავს ვგრძნობ კიდეც იქ. ყველანი მეხვევიან, მკოცნიან, უხარიანთ ჩემი დაბრუნება... ი—ში ბოლო ხანების ტანჯვა-წვალება ჩემდა უნებურად პირდაპირ უდგება იქაურ სიამოვნებას, სადაც ყველა შემომცინის, სიყვარულის თვალით მიყურებს... ოხ, რა ბედნიერი ვარ!

— მაგრამ გამოვერკვიე ოცნებიდგან და მეწყინა, რომ ჩემს ოთახში სკამზედ ვიჯექ სტოლის წინ და არა დედ-მამასთან...

ტკბილია, ტკბილი ოცნება, მაგრამ რა ცუდია, როდესაც მერე სინამდვილეს უბრუნდები!..

— ფიქრები, აზრები, მომავალი?..

— არა, არა... არ დავბრუნდები... ჩემს გარდაწყვეტილებას ვერ ვუღალატებ!..

შინიდგან მოსულმა ხუთმა მანეთმა ცოტა დამამშვიდა... თუ ბევრით არა, რამდენისამე დღით მაინც ხომ შემიძლიან ქონებრივ საშუალებაზედ არ ვიფიქრო!.. ესეც კარგი არის...

კვლავ ლექციებზედ დავდივარ. ტანჯვა შემისუმბუქდა, თუმცა მამის უქეიფობამ ცოტა შემაფიქრიანა... ხანდახან გულში ეჭვი გამირბენს ხოლმე: იქნება დედა-ჩემი ტყუილადა მწერს? იქნება საბუთად იხვევს ხელზედ, რომ უკან გამიტყუოს? მაგრამ ამ აზრისა მევე მრცხვენიან, რომ დედის სიმართლეს ეჭვის თვალით ვუყურებ...

—

კვლავ ვკიდებ ხელს კალამო... თუმცა ერთის კვირით დაგივიწყე მისთვის, რომ ეს კვირა ერთფეროვანი იყო... მაგრამ გუშინ... ჰა!.. დიაღ, ჩემო კალამო, გუშინ უკანასკნელი დღე იყო ჩემი უნივერსიტეტში ყოფნისა!.. რას დაიწრიპინე, კალამო? გაიკვირვე? ტყუილად ნუ გიკვირს... გუშინ გარდასწყდა ჩემი იღბალი... მე აღარც ტანჯვასა ვგრძნობ, აღარც სიხარულს... უკანასკნელი იმედი ჰაერში გაჰქრა... გუშინდელმა მოსულმა დეპეშამ და მარწმუნა... ნუ თუ აგიწერო გუშინდელი ჩემი მდგომარეობა? კარგი, აგიწერავ, თუ მოვახერხე...

გუშინ დეპეშა მივიღე...

„მამაშენი გარდაიცვალა, წამოდი".

— აი, რას მატყობინებდენ დეპეშით. წავიკითხე ეს ერთხელ და, არ ვიცი, რა იყო მიზეზი, შინაარსი ვერ გავიგე.

აზრები ამერია, თვალები დამიბნელდა... ასოებმა თითქო ხტუნვაც დაიწყეს... თვალების წინ წითელ-ყვითელი რგოლები გაიძაბა... ვგრძნობდი კი, რომ რაღაცა დიდი უბედურება იყო ჩემს თავსა... აი თან და თან გამოვერკვიე და შინაარსიც შევიგნე დეპეშისა. მე უფრო თავბრუ დამესხა და თუ იქვე კედელს არ მივყუდებოდი, ზედ იატაკზედ გავიშხლართებოდი... კარგა ხანს ვიყავ ასე გაჩუმებული, მინდოდა გონს მოვსულიყავ, მაგრამ ვერა... თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი...

— „მამაშენი გარდაიცვალა!" წავიკითხე კიდევ და ჩემდა უნებურად თვალიდგან ორი დიდი კურცხალი წამომვარდა... ცრემლი ცრემლზედ წამოსვლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ვიღამაც დაიძახა...

— „პროფესორი მოდისო!" უიმედოთ გავიქნიე თავი და კარში გამოვვარდი... გავემართე ქალაქისკენ, თუმცა არ ვიცოდი საით მივდიოდი, ან სად უნდა წავსულიყავი?

— ოხ, ღმერთო, ღმერთო! უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, სწორედ ჩემზედ არის ნათქვამი, წარმოვსთქვი, როდესაც შევაღე ჩემის ოთახის კარები. ვცდილობდი გამოვერკვეულიყავ, ვცდილობდი აზრები და ფიქრები, რომელნიც ამ უბედურობის შემდეგ ერთმანეთში ირეოდნენ, ერთი სცვლიდა მეორეს, მეორე მესამეს და მამის სიკვდილის მოგონებაზედ კვლავ ერთმანეთში ირეოდნენ, იხლართებოდნენ, — გამომერკვია, მაგრამ ამაოდ... აღარ ვიცოდი რა მექნა... გაჯავრებული დავრბოდი ჩემს ოთახში და შეშლილსავით ვიღაცას ვემუქრებოდი... ბოლოს წამოვავლე ხელი ქუდს და გამოვვარდი კარში... საით? არ ვიცოდი... ბევრის ხეტიალის შემდეგ დაღლილ დაქანცული შეველ ერთს ბაღში და მიყრუებულს ალაგს სკამზედ ჩამოვჯექი...

— მამა, მამა... საწყალი მამა... ვიძახოდი და აქამდის დაგუბებული დარდი - მწუხარება ცხარე ცრემლად გადმომსკდა თვალებიდგან... გული ველარ შევიმაგრე, საშინელს ტკივილს ვგრძნობდი... ყელში რაღაც მეჩხირებოდა ლოდსავით, თითქმის მახრჩობდა, ნერწყვებს ველარ ვყლაპავდი...

— ოხ, რა საშინელს მდგომარეობაში ვიყავ! ვტიროდი, მაგრამ ცრემლი არა მშორდება თვალებიდან... ამ დროს ერთი მთვრალი კაცი გამოჩნდა...

— „მმ... ყმაწვილო... ფული... მ...მ...აჩუქეთ... არა გაქვთ... მოიცა მე... მე... რომ გემნაზიაში"!.. ლუღლუღებდა და თან აქეთ-იქით გადად-გადმოდიოდა... ამოვიღე ერთი აბაზი და ვაჩუქე...

— „გმადლობთ"... სთქვა და უკანვე გაბრუნდა...

შემშურდა მისი მდგომარეობა.. იქნება, გავიფიქრე, მაგას ჩემზედ ბევრი დარდი და ვარამი აქვს, ჩემზედ უფრო ძალიან გასტანჯა ცხოვრებამ, მაგრამ ეხლა ხომ არა ახსოვს-რა?!. წუთიერი თავ-დავიწყებაც კარგია... აბა მეც ვცდი?..

მაგრამ ამ სიტყვებზედ მხოლოდ მწარე ღიმილი მომივიდა?..

—

დღეს ოც-და-ხუთი მანეთი მივიღე.. საღამოზედ გავემართები შინისკენ...

— ჰმ! უნივერსიტეტი დავასრულე! მშვიდობით, ი—ო, მშვიდობით, უნივერსიტეტო! თვე ნახევარი გავატარე შენს ჭერს ქვეშ და რა ბედნიერებაც მანდა ვნახე, იმისთანა ბედნიერება ხომ სიზმრადაც აღარ მეღირსება!.. მშვიდობით... მშვიდობით! ოდესმე მარტო მოგონებით თუ გავიქარვებ გულს, თორემ მე ვიღა მაღირსებ შენის ბრწყინვალე ლამპრის დანახვას! მშვიდობით!..

ლადო მცხეთელი

მეორე წიგნში აწერილია რაოდენობა ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ჯარისა, მომზადება საომრად, სარდლობა, საგერი და სატევი ომი და მოსაზრებანი მომავალის ომის შესახებ.

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე წიგნში აწერილია ფლოტი და საზოგადოდ ომი ზღვაზედ, ხარჯი ომიანობისათვის, მოსაზრებანი შესახებ იმისა, რომ ომი სამუდამოდ მოისპოს. ყველაზედ უფრო საყურადღებო მეხუთე წიგნია. სხვათა შორის ვრცლადა სწერია შემდეგის საგნების შესახებ: ისტორიული განხილვა ომიანობის მოსპობის შესახებ აზრის გავრცელებისა. სამუდამო მშვიდობიანობა განათლებულ ქვეყნების ლიტერატურაში. სოციალიზმი, ანარქიზმი და მშვიდობიანობის მომხრეთა მოძღვრება.—სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მცხოვრებლების რაოდენობის მეტ-ნაკლებობა, ვითარცა მიზეზი ომისა.—გაერთიანება გერმანიისა დ ამის გამო გამოწვეული შიშიანობა და კავშირები.—მომავალ ომიანობის ზარალი.—ეხლანდელი იარაღი და ჰრილობა.—დახმარება დაჭრილთა უწინ და მომავალ დროს.

ჟურნალ-გაზეთები სწერენ, რომ საზოგადოდ ბლიოხის წიგნი დიდად სანტერესოა ყველა განათლებულ კაცისათვის.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მͲ)

ხელნაწერი წიგნი № 75 (in folio, გვ. 494) არის სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი.

ეს ხელნაწერი არის მშვენიერი ვარიანტი ქართულის ლექსიკონის ისტორიის შესწავლისათვის და თვით საბას ბიოგრაფიის შესავსებად.

თუმცა ქორონიკონი არ უზის ამ წიგნს, მაგრამ მაინც იგი უნდა იყოს ან საბასივე ნაწერი და ან სხვისის ვისისამე ხელით გადაწერილი, ჯერეთ შეუმუშავებელი შრომა. ჩვენ-კი ვფიქრობთ, რომ იგი არის ავტოგრაფი.

492 კაბადონზე, ტექსტისავე ხელით, სწერია: ამა წიგნისა აღწერასა კელი მივყავ ნოემბრის ათოთხმეტსა, ქორონიკონს ჩლკა (=1721), ხოლო აღსრულდა იანვარსა ათოთხმეტსა ქორონიკონს ჩლკბ (1722 წ.)

ამის შემდეგ, მეორე გვერდზე, სხვა ხელით სწერია:

ქ: საბა მიიცვალა: ქრისტეს აქეთ: ჩღკე: (=1725 წ.): იანვარსა: კვ: მწუხრს: დიდს მოსკოვს: სესეწცკას ბატონის არჩილ მეფის სასახლეში: და იმავ საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თანაწყოლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანისათა: მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი:.

აქ მოხსენებული დარეჯანი არის არჩილ მეფის ასული. არჩილი გადასახლდა რუსეთს 1681 წ. და დასახლდა მოსკოვს. მასვე თან ახლდენ ცოლი მისი ქეთევან, ძენი ალექსანდრე და მამუკა (მათე) და ასული დარეჯან (იხ. საქართ. ისტორ., გვ. 337—338).

შემდეგ იმავე ხელით: „ვინც ამიზეზა მიზეზი მიზეზად ჰყავ მიზიზე: და მერე აქვე საუცხოვო და ძნელ-გამოსაცნობ ხელ-ჩართულით: „ნიკოლოზ“.

ეს ნიკოლოზი, საგონებელია, იყოს საბასივე ძმა ნიკოლოზ, პირველ ეპისკოპოსი და მერე ტფილელი მიტროპოლიტი, რომელიც ვახტანგ სჯულმდებელთან გარდიხვეწა რუსეთს 1724 წელს. ხელი, რომლითაც აღნიშნულია საბას გარდაცვალების წელიწადი და დღე (იხ. ზემოთ), სრულიად იგივეა, რომლითაც დაწერილია წიგნი, განხილული ჩვენ მიერ მე: მზ წერილში.

488 გვერდზე ვკითხულობთ:

ვახტანგ მეფის ნათქვამი:.

რადგან დაშურა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა:.
შეუყრია მრავლად სიტყუა, რა ვიხილე სიბრძნე მეცა:.
სად ვნახევდი ასრე კრებით ქუწყნად მევლო გინდა მეცა:.
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი ვით ვინალული კიდეც მეცა:.

საბას ნათქუამი:

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმა დამიწუნოთა:.
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხუდი, თქუენთანას დასარწმუნოთა:.
ეს რა შევკრიბე, მიქებდენ მაშინ აწ დასამგუნოთა:.
და ყურდგლის გამდრეკსა ჯორჯს ძაღლსა არსდებენ საძაბუნოთა:.
აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაჰკარგოდათ ქართველთა:.
უკრძალველობით ფურცელი გაებნია-ყე ქართ ველთა:.
ახლად შევკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიშრომე სულ ხანი:
საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი:.

ამავე გვერდის არშიაზე სხვა ხელითა და სხვა მელნით:

ქ. სიყრმითგან იყო: მუდამად: სიბრძნის: სწავლისა: მსახველი:
სამოცდა: ექვს წელს: იკითა (?): თქვა: ვერასი ვარ: მარხველი:
იარა: ბევრი: ქვეყანი: ბევრისაც: იყო: მნახველი:
ორბელიანმა: საბამან: სახელითა ქნა: სახელი:

უველა ეს ლექსები მცირედის განსხვავებით დაბეჭდილია საბას ლექსიკონის წინასიტყვაობაშიაც (იხ. გვ. IX) და იქ არც არის ნაჩვენები მელექსიკონეს აღსრულების წელიწადი.

დაბეჭდილ ლექსიკონის რედაქტორი ცაგარელს იმოწმებს და ამბობს: „სჩანს, რომ 10 დეკემბერს 1725 წელს კიდევ ცოცხალი იყო საბა-სულხან ორბელიანი“. ჩვენ-კი ზემოდ უკვე ვცანით, რომ საბა აღსრულებულა 26 იანვარს 1725 წელს.

აქვე აღვნიშნავთ ზოგიერთ ცნობასაც, რომელიც დასჭირდება საბას ცხოვრების აღმწერელსა.

დაბეჭდილ ლექსიკონში (გვ. VIII) მე-12-ე სტრიქონი ასრე წაიკითხეთ: „ქორანიკონს: ჩქუტ: მარტს: იტ: მონაზონ იქმნა: ქორანიკონს: ჩღი: დეკენბერს: ა.“

იქვე მე-15-19 სტრიქონები: „ქორანიკონს: ჩღიბ: აპრილს: კგ: ისპაანს წავიდა, მეფე ვახტანგს გაჰყუა: ბ: ნოენბერს: გამოაბრუნვა: დეკენბერს: კ: ქართლს მოვიდა: ქორანიკონს: ჩღიგ: აგვისტოს: იზ: საფრანგეთს გაიპარა: ჳრანცა, ჯენევა, სიკილია ჰრომი ნახა: ჳრანცისის მეფე.“

იქვე ქვემოდამ მეექვსე სტრიქონში „კარგი“ არ უნდა.

იქვე მეოთხე სტრიქონი ქვემოდამ: „ჯვარის ნაწილი, წჳიდა კლემენტოზ მოწამის თავი და სხვა მრავალი ნაწილი“.

იქვე პირველი სტრიქონი ბოლოდამ და შემდეგი: „ადგილები მოილოცა: კ: ღვინობისთვეს მალთას მოვიდა: ტ: დეკენბერს ჳრანცისის მეფის ხომალდი მოვიდა. წამოვიდა. ქორანიკონს. ჩღიე: იანვარს. ით: კოსტანტინეპოლეს მოვიდა: იქ დაეგვიანა ის წელიწადი: ჳრანცისის დესპანისასა იდგა კელის შეწყობითა:. დაბადებულა სულხან საბა ორბელიანი. ქართულის ქორანიკონის ტმვ (=1658 წ.) ოკდონბერს. კდ: რომ ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნება: დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუაღამესასა“:

ამას მოჰყვება წერილი სათაურით: „იესო ქრისტეს 72 მოწაფეთ სახელები და ვინ იყვნენ და სად ეპისკოპოზ იქმნეს“.

ამ სიაში (გვ. 486) მოყვანილია საყურადღებო ცნობა საქართველოს ეკლესიის შესახებ. სამოცდათორმეტ ეპისკოპოზთაგან მეშვიდის შესახებ სწერია ასრე: „წმიდა ანსიკრიტ: იგანიის ეპისკოპოზი. მეგრელთ მკარეს“:.

(დასასრული იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 ივლისი

**მადრიდი.** სამხედრო გაზეთები კვლავ ზავის წინააღმდეგნი არიან.

მალაგაში მცხოვრებმა ფრანგებმა და გერმანელებმა მიჰმართეს თავიანთ სახელმწიფოთ და სთხოვეს გემები გამოგვიგზავნეთ, რომ დაუშალონ მტერს ალყის შემორტყმა, რადგანაც ქალაქი გამაგრებული არ არისო.

**ლონდონი.** მადრიდიდგან „Times“-ს, დეპეშითა სწერენ, რომ კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა.

**პორტ-საიდი.** კამარას ესკადრა ესპანიაში წავიდა.

**ვაშინგტონი.** სამხედრო სამინისტრომ დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ სანტ-იაგოს მოვიდა კრეისერი „Uale“, გენერალი სმაილსი, თვისის შტაბით და მისაშველებელ ჯარით. მაილსს უკვე თათბირი ჰქონდა სამპსონთანა და შაფტერთან.

**მადრიდი.** ოფიციალური დეპეშა ჰავანიდგან: „10 ივლისს, საღამოს 4¾ საათზე, მტერმა თოფები დაუშინა სან-ჰუანასა და მოროს. მარშალმა ბლანკომ ბრძანა ქალაქის დაცვა უკანასკნელ საშუალებამდე. მტერმა თავი დაანება სან-ჰუანოსთან გამართულს დროების სიმაგრეს. ამავე დროს ესკადრა ყუმბარებს ესროდა ქალაქს. 7 საათზე სროლა შესწყდა. ჩვენ ჯარს თვისი ადგილები შერჩა. ზარალი ჩვენი მცირეა.

**სანტ-იაგო.** ოთხმა დიდმა გემმა დილით კვლავ დაუწყო სროლა, რომელმაც ოთხ საათს გასტანა. ყუმბარები ზღვაში ვარდებოდა, გარდა ერთისა, რომელიც მოხვდა ქალაქის შუაგულში ამართულ ეკკლესიას, სადაც ინახებოდა თოფის წამალი და ყუმბარები. ყუმბარამ თოფის წამალი ააფეთქა. აფეთქება სწორედ რომ საშინელი იყო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მისცეს სამართალში პიკარი, რომელმაც უცხო კაცებს შეატყობინა დოკუმენტი საფრანგეთის ერის დაცვის შესახებ,—ვექილი ლებლუა სამართალში იქნება მიცემული პიკარის დახმარებისათვის.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ „კვალისა“, „მწყემსისა“ და „მეურნის“ რედაქტორებს, რომელნიც თავისს ჟურნალებს ეს ექვსი თვეა უფასოდ გვიგზავნიან.

ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოსწავლეების მინდობილობით იონა ბელიაშვილი


# განცხადებანი

წყალში განსაცდელისაგან დამცველის საზოგადოების მმართველობა ამითი აცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ

მტკვრის შემდეგს ადგილებშია ნება-დართული ბანაობა,

სახელდობრ: მარჯვნივ, ვერის ხიდის ზემოდ და ქვემოდ და მარცხნივ, გოგილოს აბანოს ქვემოდ, ნავთლუღის ღლმართთან, დირსიჰალის მახლობლად. ამ ადგილებს მუდამ თვალყურს ადევნებენ ისინი, რომელთაც კარგად იციან ცურაობა, რომ ბანაობის დროს რაიმე უბედურება არ დატრიალდეს.

(2—უ.—1)

ქართველთა ამხანაგობის

**გამგეობისაგან**

შაბათს, 4 ივლისს, დანიშნულია საგანგებო კრება ქართველთა ამხანაგობისა. ამხანაგობის წესდების ცვლილებების განსახილველად.

კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში საღამოს 8 საათზე.

კერძო ბარათები არავის გაეგზავნება.

გარეშენი კრებას ვერ დაესწრებიან.

(3—ნ.—3).


## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე | | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ |
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8.33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2.58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5.00 | 11.47 | 12.02 | 5.26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2.55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7.39 | 7.49 | 9.14 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

*შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

### რკინის გზის საგარაკო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორე მცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.


# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—7)


Дозволено цензурою, Тифлисъ 1 го Іюля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.